4(07[illegible])
5-498

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ლევან ჯინჯიხაძე

# ქართული ენისა და მათემატიკის საგანთაშორისი კავშირების ზოგიერთი ასპექტი

13.00.02 — სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 2002

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ლევან ჯინჯიხაძე

# ქართული ენისა და მათემატიკის საგანთაშორისი კავშირების ზოგიერთი ასპექტი

13.00.02 — სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

თბილისი, 2002

ნაშრომი შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ტიტე სულაბერიძე**
პედაგოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი ( 13.00.02)

ექსპერტები: **იათამზე კოტეტიშვილი**
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

**გიორგი გოგოლაშვილი**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

**გურამ ჩაჩანიძე**
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **გურამ ჩაჩანიძე**
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (13.00.01, 13.00.02)

**მიხეილ რეხვიაშვილი**
პედაგოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (13.00.02)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის "10" ოქტომბერს 12 საათზე

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიკის სადისერტაციო საბჭოს (**PD** 13.00 **C** №1) სხდომაზე.
მისამართი: თბილისი, 380079, ი. ჭავჭავაძის სახელობის გამზირი, №32, აუდიტორია — 201.
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის "10" ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ციალა ლოლაძე**

# შესავალი

***თემის აქტუალურობა.*** განათლების სისტემის გარდაქმნა და მისი შინაარსის რეფორმა ხანგრძლივი პროცესია. მისი განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეალურად დაიწყება მიზნობრივად ორიენტირებული თვისობრივი ცვლილებები სწავლების შინაარსში, ფორმებსა და მეთოდებში.

სკოლაში სწავლების ახალი შინაარსის შემოტანა არ გულისხმობს ახალი სამეცნიერო ინფორმაციის ჩართვას საპროგრამო მასალებში. ახალი სამეცნიერო ინფორმაციით სასწავლო დისციპლინების შინაარსის გამდიდრება არ ცვლის საგნის ლოგიკას, მიზანმიმართულებასა და აკადემიურ დაკვეთას. აღნიშნული პრობლემა სასწავლო მუშაობის მიმართულებისა და მეთოდიკის ახლებურ გააზრებას გულისხმობს. ასეთ პირობებში ახლებურად განისაზღვრება სწავლების მიზანიც.

დიდი პასუხისმგებლობისა და რთული ამოცანების წინაშე დგება მასწავლებელი, მთელი პედაგოგიური პროცესის ცენტრალური ფიგურა. როგორც ცნობილია, უშინსკი მასწავლებლისაგან მოითხოვდა განუწყვეტელ მუშაობას თავის თავზე, რომ აემაღლებინა პროფესიული დონე და ყოფილიყო პედაგოგიურ-მეთოდიკური მეცნიერების განვითარების საქმის კურსში. კომენსკი მასწავლებლისაგან ენციკლოპედიურ განათლებას მოითხოვდა.

მასწავლებელი მხოლოდ თავისი მაღალი პროფესიონალობისა და ერუდიციის შემთხვევაში შეძლებს საგანთაშორისი კავშირების გამოყენების თვისობრივად მაღალ დონეზე აყვანას.

როგორც ვიცით, სამყარო ერთიანია და მის ერთიან განვითარებას განაპირობებს მასში შემავალი საგნებისა და მოვლენების ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთზემოქმედება, ურთიერთკავშირი, მასში უწყვეტად მიმდინარე